## სტუდენტური დასაქმება „საქართველოს კარიტასში“

„საქართველოს კარიტასის“ ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროგრამამ მხარი დაუჭირა მერიის სტუდენტური დასაქმების პროგრამას და დაასაქმა 43 სტუდენტი. ერთი თვის განმავლობაში სტუდენტები აქტიურად იყვნენ ჩართულნი „საქართველოს კარიტასის“ ჯანდაცვის პროგრამის განხორციელებაში. ისინი მუშაობდნენ როგორც თბილისში, ასევე რუსთავში, გორსა და ქუთაისში, სადაც მუშაობს საქართველოს კარიტასის ჯანმრთელობისა და სოციალური დახმარების პროგრამა. ყველაზე ღირებული წვლილი მათ შეიტანეს შინმოვლის პაციენტების მონახულებით, რისთვისაც კარიტასი და პაციენტები დიდ მადლიერებას გამოხატავს. ზოგიერთმა გამოთქვა სურვილი მომავალშიც მოხალისედ მიიღოს კარიტასის საქმიანობაში მონაწილეობა.

## Summer Job for Caritas Georgia

43 students were employed by “Caritas Georgia” Health and Social Care program in the framework of Summer Job program of Tbilisi Municipality. The students have been actively involved in all activities of the program in Tbilisi, Rustavi, Gori and Kutaisi. The most precious contribution of the students was visiting of home care patients. Students obtained some working experience and their participation was highly appreciated by “Caritas Georgia”. After completion of Summer job some students said they would like to be volunteers of Caritas.

## ივლიტა კუჭაიძის 90 წლის იუბილე

საიუბილეო საღამო გაიმართა დღის ცენტრ „ჰარმონიაში“ - ივლიტა კუჭაიძე, რომელიც არის მეორე სამამულო ომის და შრომის ვეტერანი, 90 წლის გახდა. ქ-ნი ივლიტა უკვე 6 წელია ცენტრის ბენეფიციარია. ამ ხნის განმავლობაში მან ბევრი მეგობარი შეიძინა, როგორც ბენეფიციართა, ასევე ცენტრის პერსონალს შორის. გულთბილი და მგძნობიარე იყო მილოცვები, რომელიც ქ-ნმა ივლიტამ ამ დღეს მიიღო. რა თქმა უნდა გაიჭრა ტორტი. სასიამოვნო მეგობრულ გარემოში გატარებულმა დრომ დაუვიწყარი გახადა ეს დღე იუბილარისთვის.

## 90 Years Anniversary in Day Care Center “Harmony”

The Birthday party was organized in the Day Care Centre “Harmony”. Ivlita Kuchaidze, veteran of World War II, celebrated her 90 years anniversary. Since 2006 Ivlita has been a beneficiary of the Day Center. During this time, she got many friends among the beneficiaries and the staff. Cheerful atmosphere, friendly and warm congratulations made this delightful day unforgettable for Mrs. Ivlita Kuchaidze.

## შინმოვლა საზოგადოებრივი მაუწყებლის ეთერში

2012 წლის 7 აგვისტოს საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებლის, რადიო „ღია სტუდიის” ეთერში გავიდა ერთ საათიანი გადაცემა, რომელიც მიეძღვნა საქართველოს კარიტასის საქმიანობას და მის ”შინმოვლის” პროგრამას. გადაცემას უძღვებოდა ჟურნალისტი გიორგი ჩოკოშვილი. გადაცემაში მონაწილეობის მისაღებად მიწვეულნი იყვნენ ჯანდაცვის პროექტის მენეჯერი და კოორდინატორი.
რადიო გადაცემა მიზნად ისახავდა „საქართველოს კარიტასის“ შინმოვლის პროგრამის მიზნებისა და საქმიანობის გაცნობას ფართო საზოგადოებისათვის, მის ინფორმირებას იმ გამოწვევების შესახებ, რომლებიც არსებობს საქართველოში და საზოგადოების გააქტიურებას არსებული საკითხების ირგვლივ.
გადაცემის მონაწილეები ღია ეთერში პასუხობდნენ მსმენელების მიერ დასმულ შეკითხვებს.

## Public broadcaster, “Open studio” broadcusting:

On August 7, 2012, one hour radio broadcasting was dedicated to the activities of Caritas Georgia and its Home Care program. Project manager and coordinator were invited to participate in this program led by journalist Giorgi Chokoshvili. The aim of this program was to introduce Caritas Home Care Model to the public, to raise awareness of population about the problems related to Home Care in Georgia and involve them to take part in their resolution. Participants of this program answered questions of radio listeners in open air.

## სტატისტიკა:

2012 წლის იანვრიდან „საქართველოს კარიტასის“ ჯანმრთელობისა და სოციალური დახმარების პროგრამამ დახმარება გაუწია:
– შინმოვლა – 914 პაციენტს
– ამბულატორიული მკურნალობა – 622 პაციენტს
– რეაბილიტაცია – 140 პაციენტს
– მედიკამენტებით უზრუნველყოფა – 1 319 პაციენტს
– ჰუმანიტარული დახმარება – 617 პაციენტს

## Statistics:

From January 2012 Caritas Georgia Healthcare and Social assistance program provided assistance to:
– Home Care – 914 patents;
– Ambulatory treatment – 622 patients;
– Rehabilitation – 140 patients;
– Provision of medicine – 1319 patients;
– Humanitarian assistance -617 patients.


caritas GEORGIA

საქართველოს კარიტასი
Caritas Georgia


# ირჩევს სიცოცხლეს

# Opting For Life

№2 მაისი-აგვისტო, 2012
MAY-AUGUST, 2012


## ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროგრამა
## Health and Social Care Program


თბილისი
ქურდიანის,3
ტელ/Tel: (995 232) 234 76 75
3, Kurdiani str., Tbilisi

გორი
ნინოშვილის ქ. 89
ტელ/Tel: (995 270) 27 49 57
89, Ninoshvili str., Gori

ქუთაისი
ნიუპორტის ქ.10
ტელ/Tel: (995 231) 24 35 50
10, Newport Srt., Kutaisi

www.caritas.ge f დაგვიმეგობრდით ფეისბუქსზე - საქართველოს კარიტასი შინმოვლა

## საქართველოს შინმოვლის პროგრამის მოხალისეები ჩეხეთში

2012 წლის 17 აპრილიდან - 4 მაისამდე ევროპის კომისიის მხარდაჭერით, ჩეხეთის რესპუბლიკაში, ქ. ოლომოუცში ჩატარდა საერთაშორისო ტრენინგი ჯანდაცვის და სოციალური დახმარების საკითხებში კარიტასის შინმივლის პროგრამის მოხალისეებისათვის საქართველოდან, სომხეთიდან, მოლდოვეთიდან და ჩეხეთიდან. ტრეინინგზე მიღებული ცოდნა და ახალი უნარ-ჩვევები დაეხმარება მათ უკეთ შეასრულონ დაკისრებული მოვალეობები.

## Home Care Volunteers in Czech Republic

From April 17 till May, 2 Caritas Georgia Home Care volunteers participated in the international training "YOUTH and ACTION" in Czech Republic supported by the European Commission. Volunteers from Armenia, Moldova, Czech Republic and Georgia learnt important new skills that will be helpful to perform their duties better.

## მიღება ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოში

2012 წლის 8 მაისს, ამერიკის შეერთებული შტატების ელჩის საქართველოში ბატონ ჯონ ბასის და მისი მეუღლის ქალბატონი ჰოლი ბასის ინიციატივით ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოში გაიმართა მიღება, რომელიც ეძღვნებოდა საქართველოში ადგილობრივი მოხალისეების საქმიანობის წარმოჩენას და ფართო საზოგადოებისთვის გაცნობას. მიღებაზე მიწვეულნი იყვნენ „საქართველოს კარიტასის" ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროგრამის შინმოვლის პროექტის მოხალისეები. შეხვედრა შედგა გულთბილ მეგობრულ ვითარებაში, მოხალისეებს საშუალება ჰქონდათ გაცნობოდნენ სხვა ორგანიზაციების მოხალისეებს და გაეზიარებინათ ერთმანეთისთვის გამოცდილება.

## Volunteers Day in the Embassy of the USA

On May 8, 2012, at the US Embassy was held a reception organized by the Ambassador Mr. John Bass and his wife Mrs. Holly Bass. The purpose of the meeting was promotion of local volunteers work and presentation of their activities to the public. The meeting was held in warm and friendly atmosphere. Caritas Georgia Home Care volunteers participating in this meeting had an opportunity to discuss matters of common interest with their colleges from other organizations.

## სამედიცინო მობილური ჯგუფი რეგიონებში

„საქართველოს კარიტასის" ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროგრამის მობილურმა ჯგუფმა, ჩაატარა საქველ-მოქმედო აქცია - უფასო სამედიცინი გამოკვლევა ყვარლის რაიონის სოფელ შაქრიანში სოციალურად დაუცველი მოსახლეობის დასახმარებლად. მსგავსი აქცია ჩატარდა სამცხე-ჯავახეთის რეგიონის მაღალმთიან სოფლებში ხიზა-ბავრასა და ტურცხში. აქციის ფარგლებში უფასო სამედიცინო მომსახურება გაეწია 245 პაციენტს. ყველა პაციენტს მიეწოდა მკურნალობისთვის საჭირო მედიკამენტები.

## Mobile Medical Unit in Regions

Medical Mobile Group of health and social care program of Caritas Georgia, held a charity action to increase access to the primary health care of socially vulnerable people of village Shaqriani in Kvareli Region and villages Khizabavra and Turckhi of Samckhe- Javaxeti. 245 patients were examined and provided with essential medicaments.

## 12 მაისი – ექთანთა საერთაშორისო დღე

12 მაისს, ყოველწლიურად, მთელს მსოფლიოში აღინიშნება ექთანთა საერთაშორისო დღე, რომელიც უკავშირდება ფლორენს ნაინთიგეილის სახელს. 1860 წელს, ლონდონში, წმინდა თომასის სახელობის ჰოსპიტალში, ფლორენს ნაინთიგეილმა დაარსა პროფესიონალ ექთანთა პირველი სკოლა მსოფლიოში. „საქართველოს კარიტასის" შინმოვლის გუნდიც ტრადიციულად უერთდება ამ დღესასწაულს და აღნიშნავს ექთანთა საერთაშორისო დღეს.

## 12 May – International day of Nurses

On May 12, the annual International Nurses Day is celebrated around the world on Florence Nightingale (1820-1910) birthday. Florence Nightingale is widely considered as the founder of modern nursing.She laid the foundation of professional nursing with the establishment, in 1860, of her nursing school at St Thomas' Hospital in London, the first secular nursing school in the world. Multidisciplinary Home Care of Caritas Georgia traditionally celebrates the International Day of Nurses as well.

## საქართველოს პირველი ლედი და პოლონეთის ელჩი ეწვივნენ საქართველოს კარიტასს

საქართველოს კარიტასის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროგრამას სტუმრობდნენ საქართველოს პირველი ლედი ქალბატონი სანდრა რულოვსი და პოლონეთის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საქართველოში ქალბატონი ურსულა დოროშევსკა. სტუმრები გაეცნენ პროგრამის მუშობას და გაესაუბრნენ თანამშრომლებსა და ბენეფიციარებს.

## Georgia`s First Lady and Polish Ambassador visit Caritas Georgia

First lady of Georgia Mrs. Sandra Elizabeth Roelofs and the Ambassador of Poland Mrs. Urszula Doroszewska visited Health and Social Care program of Caritas Georgia. Guests got acquainted with the implementation of the program and talked to beneficiaries and program staff.

## ექსკურსია ბენეფიციარებისთვის

„დღე, რომელიც არასდროს დაგვავიწყდება!" – ასე შეაფასეს შინმოვლის პროგრამის ბენეფიციარებმა საქართველოს კარიტასისა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ-პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტების ერთობლივი ღონისძიება – ექსკურსია ქალაქ თბილისის განახლებულ უბნებში და წმინდა სამების საკათედრო ტაძარში. ამ ხანდაზმულებს მრავალი წლის განმავლობაში არ ჰქონდათ გარეთ გასვლის საშუალება .

## Sightseeing with Beneficiaries

"The day, that will never be forgotten"-this is beneficiaries` reaction to the trip to the renovated parts of Tbilisi and visit to the Holy Trinity Cathedral, which was organized by Caritas Georgia and students of Tbilisi State University. Most of these beneficiaries did not have an opportunity to get out of home for a long time.

## კარიტასი ავრცელებს თავის გამოცდილებას

„საქართველოს კარიტასი" სათავეში უდგას შინმოვლის მეთოდოლოგიის შემოღებას და დანერგვას საქართველოში, ვინაიდან ამ პროგრამის განხორციელება დაიწყო 1996 წლიდან. ორგანიზაცია მიზნად ისახავს თავისი უნიკალური გამოცდილების დანერგვას ქვეყანაში არსებულ ჯანდაცვის სისტემაში. ამჟამად სხვადასხვა სამედიცინო და არასამთავრობო ორგანოზაცია იწვევს კარიტასის სპეციალისტებს შესაბამისი ტრეინინგების ჩასატარებლად. ასე მორიგი საკვალიფიკაციო ტრეინინგი განხორციელდა ქ. ოზურგეთის ხანდაზმულთა თავშესაფრის თანამშრომლე-ბისთვის. ტრეინინგის თემა იყო „ავადმყოფის მოვლის ზოგადი უნარ-ჩვევები" და მოიცავდა, როგორც თეორიულ, ასევე პრაქტიკულ მეცადინეობებს. ტრენინგის ბოლოს მონაწილეებს გადაეცათ სერთიფიკატები.

## Integration of Caritas expierience

Caritas Georgia, implementing Home Care Project in Georgia since 1996, is a Pioneer in promotion and integration of its methodology and techniques in the country. Organization aims to promote its unique experience in home care services among stakeholders and create better conditions for its institutionalization and integration into existing health care system and NGOs. Different medical institutions invite Caritas specialists to train their staff. One of the recent trainings on service delivery issues for bedridden patients including theoretical and practical courses was held in Ozurgeti. Certificates were awarded to those participants that successfully passed qualification test.